ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1938490

ნომერი: AR1315496

თარიღი : 04.06.2015

გაცემის თარიღი : 08.06.2015

გაცნობის თარიღი : 08.06.2015

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბ.ხმელნიცკი , N 42 , (ნაკვეთი N29/37) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ავთანდილ ჯანაშია პ/ნ 01030002693
- თბილისი დ.აღმაშენებლის გამზ. N 83/23

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- სამეურნეო და საწარმოო ობიექტები
  - დამხმარე - ტექნიკური შენობები

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100, 102-ე მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, ისნის რაიონში, ბ. ხმელნიცკის ქუჩა #42-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.17.11.029.037) ფარდულის განთავსების მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას, გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე თქვენი #AR1289509 (27.02.2015) განაცხადის საფუძველზე, სამსახურის მიერ #1759719 (18.03.2015) ბრძანებით უკვე მომზადებულია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები ტექნიკური ნაგებობების განთავსების მიზნით. შესაბამისად, თქვენ შეგიძლიათ ისარგებლოთ ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებით და მის შესაბამისად მოამზადოთ საპროექტო დოკუმენტაცია და მიმართოთ სანებართვო განყოფილებას II (არქიტექტურული პროექტის შეთანხმება) და III (მშენებლობის ნებართვის გაცემა) სტადიის შეთანხმებისთვის, რისთვისაც შესაბამისი განაცხადი და პროექტი უნდა აიტვირთოს www.tas.ge-ზე ელექტრონულ განაცხადებში, მშენებლობის ნებართვის შესაბამის ველში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.